ოქმი N 11

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

30 მაისი 2023 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. აკაკი ხურცილავა
3. გიორგი გვასალია
4. გივი ლატარია
5. ლელა ადანაია
6. მზია ლემონჯარია
7. გოჩა ქაჯაია
8. ია ჯიშკარიანი
9. ნინო ბოკუჩავა
10. მაკა ჩარტია

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 25 მაისის N50-502314512 და 30 მაისის N50-502315022 წერილების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში, არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 45.15.22.020; დაზუსტებული ფართობი: 599 970.0 კვ.მეტრი) ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ *განკარგულების პროექტის თაობაზე*);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე).

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 29 მაისის N50-502314916 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე).

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 30 მაისის N50-502315026 წერილის განხილვა (ინფორმაცია ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარი - მარტის შესრულების შედეგების თაობაზე).

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხების ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10 ; წინააღმდეგი - არც ერთი.

დადგინდეს: წარმოდგენილი საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე მ. თათარიშვილი